წერილის ნომერი: **18-0120323980**
თარიღი: **18/11/2020**
პინი: **7213**

ადრესატი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მისამართი: დ.აღმაშენებლის გამზ150

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 4 ნოემბრის N10465/01 წერილი, რომელიც ეხება ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე დაგეგმილი ცენტრალური პარკის მოწყობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის საკითხს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება სამინისტროში უნდა წარადგინოს საქმიანობის განმახორციელებელმა.

რაც შეეხება უშუალოდ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, თბილისის ცენტრალური პარკი ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე, 36 ჰექტარზე განთავსდება. აღნიშნული პარკი თავისი შინაარსით წარმოადგენს ლანდშაფტურ, დასასვენებელ-სარეკრეაციო სივრცეს, რომლის პროექტიც ითვალისწინებს ბოტანიკური ბაღის, იაპონური ბაღის, ფრანგული ბაღის, შიდა სატყეო სექტორის, მდელოს, სათამაშო მოედნების, შადრევნის, პერგოლას, საფეხმავლო ხიდის, ველობილიკების და პანორამული პლატფორმის (Ecological Hill) შექმნას. პარკის პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყობა საგანმანათლებლო ცენტრი, კვებისა და სპორტის ზონები, მათ შორის, თოკების პარკი, სკეიტ პარკი, სტრიტბოლისა და პარკურის სივრცეები, ლაშქრობისა და კლდეზე ცოცვის არეალები.

ამასთან, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მოსაზრებას დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU ,,გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დირექტივისა (EIA Directive) და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგს ექვემდებარება მხოლოდ თემატური პარკების მშენებლობა. განსახილველ შემთხვევაში კი დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს ლანდშაფტური მშენებლობის ფარგლებში დასასვენებელი-სარეკრეაციო პარკის მოწყობას.

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი